„დინამო“ (თბილისი) – „ნეფთჩი“ (ბაქო) 2:0 (2:0)

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 21 სექტემბერი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი, კაკილაშვილი, სულაქველიძე, კორღალიძე (აჯოევი), გურული (გუბაზი), შენგელია.

„ნეფთჩი“: ჟიდკოვი, ბელიალოვი, აბდულაევი, აზიმოვი, ფედოროვსკი, სულეიმანოვი, ჰუსეინოვი (ალაჰვერდიევი), გარიბოვი, პონომარიოვი, კასუმოვი (ახმედოვი), ჯავადოვი.

მსაჯი კირილოვი (მოსკოვი)

გააფრთხილეს ფედოროვსკი (ნეფთჩი“), ჭედია („დინამო“).

წლევანდელ სეზონში „დინამოს“ უღიმღამო გამოსვლები კარგად მოგეხსენებათ და მხოლოდ თამაშის ხარისხის ამაღლების ძიებაში უნდა ენახა გუნდს გამოსავალი. უპირველეს ყოვლისა თავი უნდა მოება კომბინაციური მოქმედებისთვის.

ამ ხარვეზის დაძლევა გუნდს მხოლოდ ფინიშის სწორზე, კერძოდ ცსკა-სთან შეხვედრაში დაეტყო, მაგრამ თუ ეს ხმამაღლა არ იქნება ნათქვამი, აღმასვლას ორი სერიოზული ჩავარდნა მოჰყვა „არარატთან“ და უეფა-ს სათამაშო შეხვედრაში სოფიის „ლოკომოტივთან“.

და აი, გუშინ დინამოელებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ მათ თამაშისა და ბრძოლის უნარი კიდევ შესწევთ. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მათ გუშინ საკმაოდ სერიოზული მეტოქე ჰყავდათ.

„დინამომ“ თამაში დიდი მონდომებითა და შემართებით დაიწყო და უკვე პირველსავე წუთზე მიაღწია წარმატებას; ეს კი თავდასხმისა და დაცვის შეთანხმებულმა თამაშმა განაპირობა.. დიახ, სულაქველიძე, კორღალიძე და კეტაშვილი, განსაკუთრებით პირველი მათგანი აქტიურად ჩაებნენ შეტევებში და ამან სასურველი შედეგი გამოიღო. მესამე წუთზე გურულმა ღრმა ზურგიდან მიიღო ზუსტი პასი, გადააწოდა ბურთი შენგელიას და მარცხენა გარემარბისა და მეკარის ორთაბრძოლაში ბურთი კუთხურზე გავიდა. იგი სახიფათოდ ჩამოაწოდა კორღალიძემ და გურულმა გახსნა ანგარიში. ტაიმის 37-ე წუთზე კი კორღალიძე-ჩივაძის კომბინაციას „ნეფთჩის“ კარში მეორე გოლი მოჰყვა და „დინამომ“ მეტად საჭირო ორი ქულა მოიპოვა. მაგრამ მისი თმაში ჯერ გულდამშვიდების საფუძველს არ იძლევა, ვინაიდან გუნდს კვლავაც დიდი შრომის გაწევა მართებს. ერთი შეხედვით იმ უმნიშვნელო წვრილმანი დეფექტების აღმოსაფხვრელად.

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

გერმან ზონინი („დინამოს“ უფროსი მწვრთნელი): დღეს გუნდმა წინანდელზე უკეთ ითამაშა, რაც იმან განაპირობა, რომ ფეხბურთელებმა შეიგნეს სათამაშო დისციპლინის სიკეთე. მართალია, მათ დავალების მხოლოდ 80 პროცენტი შეასრულეს, მაგრამ გაჩნდა ცალკეული რგოლების შეთანხმებული თამაში. ეს უკვე გარკვეულ იმედს გვისახავს...

ლელო 22.09.1987